



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
**MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA**



KA030147606352614

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი: (+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 33; 251 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak. Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax: (+995 32) 251 00 19; Hot line: (+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/92058

14 / ნოემბერი / 2014 წ.

შპს „ნიუ ჰოსპიტალს“
მისამართი: თბილისი. კრწანისის ქ. N12

ასლი: საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და
რეჟიმის დეპარტამენტს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული შპს „ნიუ ჰოსპიტალის“ კლინიკური დირექტორის მ. დოლიძის საშუამდგომლო წერილის (NH-01/1118; 06.11.2014წ) პასუხად, რომელიც ეხება პაციენტ - გ.ლ.-ს სასუნთქი აპარატის დაფინანსების საკითხს გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილების თანახმად შექმნილი „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე გასაწევი სამედიცინო მომსახურების განმხილველი კომისია მზადაა განიხილოს პაციენტის დახმარების საკითხი კომისიაზე განხილვისთვის აუცილებელი სრულყოფილი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა; ანგარიშ-ფაქტურა - კალკულაცია; პირადობის მოწმობის ასლი; სოციალური სტატუსის - დევნილი, შშმპ, სოც. დაუცველი, პენსიონერი დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

დამატებით გაცნობებთ, რომ ზემოთხსენებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ აღნიშნული დადგენილების თანახმად კომისია, სათანადო მონაცემების ანალიზის შედეგად განიხილავს მაძიებლისათვის დაფინანსების გაცემის შესაძლებლობას და განსაზღვრავს დაფინანსების მიზანშეწონილობას.

პატივისცემით,

საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი .

ხათუნა ჩაჩავა